ოთხშაბათი, 25 ივლისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 161

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მღდავითნე, **სვიმონ ონოფრეს ძე, ნინა, ვასილ და ვლადიმერ სიმონის ასული და ძენი ცოფურაშვილები** მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გადაცვალებას: პირველის—ძვირფას შვილის და მეორენი—საყვარელ დის მცხეთის დედათა სკოლის მასწავლებლის

ელენე სიმონის ასულის ცოფურაშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ 26 ივლის, ხუთშაბათს სანუგეშებლად ქრის უფალთა და გასვენებაზედ დასასწრებლად. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 10 საათზე იერუსალიმის ქუჩის ჯვარის მამის ეკკლესიის ეზოდან სიონის საკრებულო ტაძარში, საიდანაც წირვის გადახდის შემდეგ წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დასაკრძალავად. პანაშვიდი, დღეს 25 ივლისს საღამოს 7 საათზედ. (2—უ—1)

„ფუნიკულერის“ რესტორანში

ყოველ-დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. ა. სანოროს ლოტბარობით. (20—193—8)

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ქართული

„დროების კალენდარი“

დამდეგი 1908 წლისათვის.

**„დროების კალენდარი“ შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი.**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

აგრეთვე იბეჭდება და ვინც „დროების კალენდარს“ იყიდის, იმას პრემიად მიეცემა

კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდი ზომისა. თითო ფურცელში თითო თვე იქნება მოქცეული და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.

„დროების კალენდარში“ დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულს, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა**: კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი—7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან. ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება უფასოდ

**დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.**

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის“ რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა. **„კალენდრის“** გამომცემელს.

ამხ. „გეორგია“-სთან

შეამხანაგებით ამ მომავალ მარიამობისთვეში დაიწყებს მოქმედებას, ხელოვნურად შემზადებული მადნეულ-ხილეულის საუკეთესო წყალის ქარხანა

„მ. ლალაძე და ამხ.“

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის (ყოფილი მუხრანსკის) სახლში. (3—222—3)

კერძო სასწავლებელი პირველ ხარისხისა

(რეალურ-კლასიკური გიმნაზია)

ექვემდებარება საერო განათლების სამინისტროს

ვ. ა. და ვ. ს. ლევანდოვსკისა.

სასწავლებელი შესდგება სამკლასიან **„მოსამზადებელ სკოლისაგან“** საბავშვო ბაღით, სამ კლასიან **„დასაწყისს სკოლისაგან“** და ხუთ კლასიან **„საშუალო სკოლისაგან“**.

✦ პანსიონი ვაჟებისათვის ✦

15 სექტემბრამდე მიიღებიან (განსაზღვრული რიცხვი) ვაჟები და ქალები „მოსამზადებელ სკოლაში“.

1. სავალდებულოა პრაქტიკულად შესწავლა ფრანგული, გერმანული და ინგლისურ ენებისა; ვრცლად შესწავლა მათ. და საბუნებ. მეცნიერებათა; ადგილობრივ ენებისა, მუსიკისა და ხელოვნების შესწავლა სავალდებულო არ არის.
2. ბავშვთა გონებისა, ხასიათის დაწნების აღზრდა; ინდივიდუალობის განვითარება.
3. ჯანმრთელობის შენახვა და ფიზიკური განვითარება ბავშვებისა: გიმნასტიკა, ატლეტიური სათამაშოები, სპორტი, მუშაობა ინგლისურ და ამერიკულ სკოლების სისტემისამებრ და ექიმების მეთვალყურეობით.

ცნობებისთვის მსურველმა 15 აგვისტომდე უნდა მიმართოს ტეხნიჩესკი ქუჩაზე (დიდი მთავრის ქუჩის მახლობლად), ს. № 4. საქმე დღეებში 9 დან 11 ს. (10—6—4)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
გ. ხ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—143)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
ე. გაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩის კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—95)

თვალის ექიმი
ზ. გ. ცხვედაძე
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად 6 მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—22)

ქუთაისში
ექიმი მაცდიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჰიშკარიდან. (60—ფოს.—51)

დ. ყვირილაში
ხაზინის გვერდზე
იყიდება სახლები ეზოთი
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ დ. ყვირილაში მინა ტაბატაძეს. (3—ლ—1)

თეატრი და ბაღი
„რენესანსი“
ხუთშაბათს, 26 ივლისს, 1907 წ.
**პ. პ. ფალიაშვილი და გ. ვ. დალაქიშვილი** გამართავენ წარმოდგენას საკონცერტო განყოფილებით, ქართულს ენაზედ წარმოდგენილი იქნება
ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ
კომ. 2 მოქმ. რ. ერისთავისა.
მონაწ. მიიღ. ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე. ბ-ნნი ვასო აბაშიძე, ივანიძე და სხვა.
საკონცერტო განყოფილება.
მონაწ. მიიღებენ: ქ-ნი ტასო აბაშიძე, ბ-ნნი კ. ს. ცხომელიძე, ვასო აბაშიძე და მომღერალთა გუნდი ტფილ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა.
**დასაწყისი სრულ 8½ საათზედ.**
(2—უ—1)

## ტფილისი, 25 ივლისი.

მოსკოვში მოხდა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ და სხვა ეგრედ წოდებულ მონარხისტულ პარტიების შეერთებული კრება. თუმცა შავრაზმელებმა კრებაზე პრესსის წარმომადგენელნი არ დაისწრეს, უმთავრესი ცნობები რეაქციონერთა თათბირის შესახებ მაინც ვერ იქნა დაფარული საზოგადოებისათვის. კრებას მოურიგებია ყველა რეაქციონური ჯგუფები და საბოლოოდ გამოურკვევია მათი პოლიტიკური მიზანი. ამ მხრით კრება, უეჭველია, ინტერესს წარმოადგენს, რადგან არა-თუ გვისურათებს რეაქციონურ ჯგუფების დღევანდელს მისწრაფებას, არამედ იმასაც, თუ რა სწადია რუსეთის მაღალ სფერებსაც, რომელთა სიმპატია „ჭეშმარიტ რუსებისადმი“ დღეს ყოველ ეჭვს გარეშეა.

მთავარი საკითხი, რომელიც კრებას ჰქონია განსახილველი, ყოფილა ტაქტიკა მესამე სათათბიროს შესახებ. ამ საგანს კრება ორ ნაწილად გაუყვია. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წარმომადგენელნი გამოსულან სათათბიროს ბოიკოტის მომხრეებათ. მათ უდიარებიათ, რომ 3 ივნისის კანონმა „საერთო“ მოლოდინი ვერ გაამართლაო; ყველას იმედი მოგვცესო (!), რომ საარჩევნო კანონის შეცვლასთან ერთად შეცვლილი იქნება ძირითად კანონების ის მუხლებიც, რომელნიც შეეხებიან სახელმწიფო სათათბიროს როლს, სათათბიროს არსებასაო; სახელდობრ: სათათბიროს საკანონმდებლო ფუნქცია უნდა წართმეოდა და მხოლოდ მრჩეველ ორგანოდ უნდა ყოფილიყოო. რა-კი მთავრობამ ვერ დააგვირგვინა საქმე და ჩვენი მთავარი მოთხოვნა არ იქმნა ასრულებულიო, ჩვენ—ყველა ჭეშმარიტ რუსებმა და მონარხისტებმა ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ სათათბიროს და მის გარეშე განვაგრძოთ ჩვენი ბრძოლა სანამ თვითმპყრობელობა სრულებით არ იქნება აღდგენილიო.

ამ აღსარებიდან ცხადათ ვტყობილობთ, თუ სადამდის მიდის დღევანდელ რეაქციის წადილი. მართალია, ეს დღემდისაც ვიცოდით, მაგრამ **ოფიციალურად** „ჭეშმარიტი რუსები“ მხოლოდ ეხლა აცხადებენ საქვეყნოდ, რომ მათი საბოლოო მიზანია: 17 ოქტომბრის და 20 თებერვლის ძირითად კანონების არსებითი შეცვლა. აღნიშნულ აქტების თანახმად, რუსეთში „ვერცერთი კანონი ვერ შევა ძალაში, სანამ სახ. სათათბიროსა და სახ. საბჭოსაგან არ იქნება მოწონებული“. ამით სახალხო წარმომადგენლობას ეძლეოდა საკანონმდებლო დაწესებულების მნიშვნელობა, ხოლო თვითმპყრობელობის უზენაესი უფლება შეზღუდული იყო, ე. ი., მყარდებოდა საკონსტიტუციო წესი, რომელიც იგულისხმებს ხალხის წარმომადგენლებისა და მეფის თანასწორუფლებობას საკანონმდებლო საქმეში. რუსეთის დღევანდელი რეაქცია სწორედ ამის წინააღმდეგ გამოდის; მისი მიზანია განმათავისუფლებელ მოძრაობის შედეგი გაანახევროს, შეამციროს: სახელმწიფო სათათბირო გადააქციოს მრჩეველ დაწესებულებათ და და სრული საკანონმდებლო ძალა დაუბრუნოს ისევ თვითმპყრობელს...

გარდა ამისა, „ჭეშმარიტ რუსთა“ აღსარებიდან კრებაზე ვტყობილობთ კიდევ, რომ მათ ვიღაცა დაჰპირებია—მეორე სათათბიროს დათხოვნასთან ერთად მოხდენილ იქნებაო სასურველი სრული coцep d état-ცაო. სტოლიპინის სამინისტრო და მისი ოფიციოზური ორგანო მუდამ დღე იმეორებენ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტით დამყარებულის წეს-წყობილების გაუქმებაზე ფიქრიც არ არისო; უნდა ვიფიქროთ, მაშასადამე, რომ შავრაზმელები უფრო ახლო სდგანან მაღალ სფერებთან და უფრო იციან, რა არის ამათი წადილი, ვიდრე ოფიციალურმა მთავრობამ. ამის უკან სდგას უფრო ძლიერი მთავრობა, რომელიც გაბედულად ნაბიჯით მიდის წინ „რეაქციონერთა საქმის“ დასაგვირგვინებლად. როგორ უნდა მოხდეს ესეთი დაგვირგვინება, ამას ვტყობილობთ მოსკოვის კრების მეორე ნაწილის აღსარებიდან.

მეორე ნაწილი უმთავრესად შესდგებოდა „შეერთებულ თავად-აზნაურთა საზოგადოების“-ა, „რუსსკ. სობრან.“-ეს და სხვა არისტოკრატიულ მონარხისტების ჯგუფთა წარმომადგენლებისაგან. ესენი მედგრად გაილაშქრნენ ბოიკოტის იდეის წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ: ჩვენ, პირიქით, გვმართებს ენერგიული მონაწილეობა მივიღოთ მომავალ არჩევნებში; შევქმნათ ძლიერი პარტია და სათათბიროსავე თანხმობით მოვახდინოთ სასურველი „პერევოროტ“-იო. ჩვენის მისწრაფების დასაგვირგვინებლად ასეთი გზა სჯობია, მაგრამ, თუ ეს არ მოხერხდა, ჩვენ საქმეს სათათბიროს გარეშეც ხომ მოვახერხებთო. ამ აზრმა გაიმარჯვა და კრებამ გადასწყვიტა—მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში იმ იმედით, რომ თუ არჩევნებზე რეაქციონერები ისევ დამარცხდნენ, „პერევოროტ“-ი მაინც იქნება მოხდენილი სათათბიროს გარეშე დაწყებულ ბრძოლის საშუალებით.

ამგვარია რუსეთის მმართველ და გაბატონებულ წრეების პლანი მომავალ პოლიტიკურ აქტის შესახებ და ჩვენ იმიტომ შევჩერდით მაზე, რომ აგვეხსნა ერთ-ერთი ჩვენი მოსაზრება ბოიკოტის ტაქტიკის წინააღმდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნაკლებად შეგნებულ მასსისათვის სულ ერთი არაა, როგორ განახორციელებენ რეაქციონერები თავის გეგმას: სათათბიროს საშუალებით თუ კულისებს უკან მდგომ იდუმალ მთავრობის ძალდატანებით, ძალმომრეობით. პირველ შემთხვევაში საქმე გარეგნულად, ფორმალურად კანონიერს ნიადაგზე სწყდება: ხალხი, ნაკლებათ შეგნებული მასსა დაინახავს მხოლოდ იმას, რომ თვით წარმომადგენლობითმა დაწესებულებამ სცნო საუმჯობესოთ 17 ოქტომბრის აქტის გაუქმებაო; ხოლო მეორე შემთხვევაში ის ადვილად დარწმუნდება, რომ სახალხო წარმომადგენლობა ფეხით გათელილ იქმნა ბიუროკრატიის მიერ. მესამე სათათბიროში, შეიძლება, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდეს რეაქციონერთა და კონსტიტუციონალისტთა შორის; მთავრობაც იძულებული გახდება, გარკვეული პოზიცია დაიჭიროს და ერთ-ერთ მხარეზე დადგეს. ასეთ მომენტის დროს, ჩვენის ფიქრით, დემოკრატიული და რევოლიუციონური ოპოზიცია უთუოდ უნდა იყოს სათათბიროში: იგი მოახერხებს პოლიტიკურ მდგომარეობის უფრო ნათლად გამორკვევას, ხსენებულ წინააღმდეგობის სრულს გამოაშკარავებას და მთავრობისათვის ნიღაბის ახდას; რევოლიუციონური და ოპოზიციონური კოალიცია სათათბიროში უფრო საჭიროა სწორედ მაშინ, როცა რეაქციონერები შეადგენენ უმრავლესობას; ეს უფრო აშკარად ჰყოფს რუსეთის დღევანდელ ვითარებას და უფრო გარკვევით ეტყვის ხალხს—რაშიაც არის საქმე. როგორც უკიდურესი რეაქციონერები, ისე მემარცხენენიც დარწმუნებულნი არიან, რომ მთავარი ბრძოლა, სადავო საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა პარლამენტს გარეშე მოხდება; მაგრამ მემარცხენენიც არ უნდა ჰყოფდნენ უარს სათათბიროს როლს და მნიშვნელობას ამ ბრძოლისათვის: სათათბირო გამოარკვევს პოზიციებს და ხალხს უკეთ ეცოდინება, რისთვის იბრძვიან სათათბიროს გარეშე მთავრობა, რეაქციონური პარტიები და შეერთებული ოპოზიცია.

## რეფორმები კავკასიაში
(სააგენტოს დეპეშა)

მინისტრთა საბჭომ განიხილა კავკასიის ნამესტნიკის უქვეშევრდომილესი მოხსენება შესახებ იმ რეფორმებისა, რომელიც უნდა მოახდინონ კავკასიის ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნამესტნიკი თხოულობს, მოისპოს დროებითი ვალდებულება მემამულეთა და გლეხთა შორის; მიეცეთ სახაზინო გლეხებსა და გადმოსახლებულთ კერძო საკუთრებად ის მიწები, რომელიც მათ უჭირავთ და გლეხთა კერძო საკუთრებად იქმნას ცნობილი დაღესტნისა, ზაქათალისა, ყარსისა და ბათუმის ოლქების ის მიწები, რომელსაც ისინი ხმარობენ; საბეგრო გადასახადის მაგივრად შემოღებულ იქმნას სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადი, საერობო გადასახადი შეძლების დაგვარად ყველგან თანასწორად იქმნეს განაწილებული; საერობო დარაჯთა შენახვა ხაზინამ იკისროს; გაუქმდეს მაჰმადიანთა შორის არსებული წესი სამხედრო გადასახადისა იმ შემთხვევაში, როცა ისინი სამხედრო სამსახურს მოიხდიან საამისოდ არსებულ წესით ან

შეიცვალოს ეს გადასახადი. თუ ისინი ჯარში არ იქნებიან გაწვეულნი; სწავლა [illegible] სამხედრო სასწავლებელი [illegible] სამხედრო სასწავლებლებში [illegible] კავკასიის [illegible] სამინისტროში [illegible].

[illegible] შემოსავლის [illegible] კავკასიის სამმართველოში შეტანილ [illegible].

## ახალი ამბავი

✦ **რეაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დღის მხოლოდ ნახევარი ნომერი გამოდის.**

✦ **ჩხრეკა.** 24 ივლისს, დილის 6 საათზედ, ჯარმა და პოლიციამ ალყა შემოარტყა პოლიციის მე-5 ნაწილს და ჩხრეკას შეუდგა. [illegible] 23 ივლისს [illegible] 30 კაცი [illegible].

✦ **დაზარალებულთა დახმარება.** [illegible]

✦ **მკვლელობანი.** [illegible] 23 ივლისს, დილის 3 საათზე, [illegible].

✦ **პოლიტიკური საქმე.** 23 ივლისს [illegible] ტფ. სამოსამართლო პალატამ [illegible] მიცემული იყო. თელავის მოქალაქე არჩილ ფარსადანოვი, რომელსაც ჰბრალდებოდა მონაწილეობის მიღება ისეთ ორგანიზაციებში, რომელთაც აზრად ჰქონდათ არსებულ სახელმწიფო წესწყობილების დამხობა. ფარსადანოვს გაჩხრეკის დროს აღმოსჩენია საიდუმლო სტამბა და ფულის მოსაკრებად საკვიტანციო წიგნები. ფარსადანოვმა განაცხადა, თუმცა სტამბა მქონდა, მაგრამ ამით მე ფულს ვიგებდი და მთავრობის საწინააღმდეგოს არაფერს არა ვბეჭდავდი. საათ-ნახევრის თათბირის შემდეგ პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ფარსადანოვი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ყოველსავე უფლებების ჩამორთმევა და სამუდამოდ ციმბირის შორეულ ადგილებში გადასახლება.

✦ **მოწამვლა** არჩილ ჯირკველოვი, რომელმაც 21 ივლისს დაპატიმრების დროს გოგირდის სიმჟავე დალია, მეორე დღეს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

✦ **სროლა.** პოლიციის მე-8 ნაწილში ამატუნის ქუჩაზე, 23 ივლისს, საღამოს 8 საათზედ, ორმა შეიარაღებულმა კაცმა ორჯელ რევოლვერი ესროლა ტერენტი პუტილინს, მაგრამ ააცდინა. პუტილინმა თავის მხრივ თოფი ესროლა, მაგრამ მანაც ააცდინა.

✦ **ფულის გატაცება.** 23 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, პოლიციის მე-9 ნაწილში, ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის კანტორაში სამეურნეო საპოლიციო აგენტს კონსტანტინე ხახანაშვილს შეუვარდნენ ვიღაცები და კასსიდან 575 მან. მოსტაცეს

✦ **ღვინო საარყე დუქნებში.** სარატოვის გუბერნიის სააქციზო დაწესებულებათა მართველის შეკითხვაზე, თუ ღვინის რომელ ფირმას უნდა მიეცეს ვაჭრობის ნება მთავრობის სასმელების დუქნებში, გუშინ კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ აცნობა, რომ ამ ჟამად მხოლოდ ორი დაწესებულებაა: კახეთის ვენახების პატრონთა საზოგადოება „კახეთი“ და საუფლისწულო უწყება, რომელნიც ღირსნი არიან ყურადღებისა, რადგან ნამდვილ ღვინით ვაჭრობენ. სხვა ფირმები ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაში, როგორც კერძო კაცთა საკუთრებანი და კანტროლს ქვეშ არ მყოფნი, თუმცა ბუნებრივის ღვინით ვაჭრობენ, მაგრამ, მოგების ინტერესით გატაცებულნი, სხვა და სხვა თვისების ღვინოებს ერთმანერთში ურევენ და ასე კახურ ღვინოდ ასაღებენ. სამეურნეო საზოგადოებამ დანამდვილებით იცის, რომ არც ერთს კერძო ფირმას არ შეუძლიან ნამდვილი ბუნებრივი ღვინო გასასყიდად ბაზარზე გაიტანოს, თუმცა სამეურნეო საზოგადოება წინაამდეგი არ არის, კერძო ფირმებიც წახალისდნენო.

✦ **სტამბის დაჯარიმება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ათი თუმნით დააჯარიმეს სტამბის პატრონი გრიგოლ ჩარკვიანი. მიზეზი—„სტამბაში არა ლეგალურ ლიტერატურის შენახვაა“.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან: ვიატკის გუბერნიაში ორი წლით ურიათ-უბნელი ალექსანდრე მათიაშვილი, რომელსაც აბრალებენ თელავის სოციალ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის წევრობას; ასტრახანის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—პოლკოვნიკის შვილი გიორგი გენერაზოვი, რომელსაც აბრალებენ მუქარით ფულის დატყუებას. აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება: ზაქარია ადეკაშვილს, ალექსანდრე ბაკურაძეს, აბდულ-ალი-ოღლის, ვალ. ანჩენოვს და ისიდორე შენგელიას. პოლიციის მოთხოვნილებების აუსრულებლობისათვის ორ-ორი თუმნით დააჯარიმეს ტფილისელი ვაჭრები გას. სულხანოვი, ა. ტერ-აბრამოვი და ალი-ახმედ-ოღლი.

✦ **გენ. გუბერნატორის ბრძანება პატენტების აღების შესახებ.** გუშინდელ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია ტფ. გენ.-გუბერნატორის შემდეგი ბრძანება: „ვუცხადებ ტფილისის სასმელ დუქნების პატრონებს, რომ 1907 წლის მეორე ნახევრისთვის პატენტების და სხვა ქაღალდების ასაღებად უკანასკნელ ვადად ვნიშნავ პირველ აგვისტოს. ვინც ამ დროსთვის პატენტს არ იიღებს, გადახდება ჯარიმა 3000 მანეთამდე, ხოლო სავაჭროები დაიკეტება პატენტის აღებამდე და ჯარიმის გადახდამდე.

✦ **დაპატიმრება.** 19 ივლისს სამტრედიაში, როგორც „ზ.“ ატყობინებენ, დაუპატიმრებიათ მემანქანენი დ. შენგელია, თ. შენგელია, ჯალაგანია, ნიკურაძე, ტრიფონოვი, გიგინეიშვილი და რეიარი, მემანქანის თანაშემწე სულავა და საზღვარ-გარეთელ უნივერსიტეტის სტუდენტი მიხაილოვი. ყველანი ქუთაისის სატუსაღოში გაუგზავნიათ.

✦ სპარსელი ქართველები ჭიათურიდან 23 ივლისს გაემგზავრნენ ქ. ახალციხეში. 25 ივლისს მგზავრები ახალციხეში გამართვენ სალიტერატურო საღამოს.

✦ 23 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ჟანდუზნი ქუჩაზე ვაჭარს მიხეილ სადაგოვს შეუვარდა 8 შეიარაღებული კაცი და მოსთხოვა ფული. წაიღეს ოქროს საათი. იქვე მაღაზიაში მოვაჭრე ელიზბარაშვილს წაართვეს 255 მან.

✦ მადათოვის ქუჩაზე მცხოვრებს იაკობ შმატკოვს, შინ არ ყოფნის დროს, 21 ივლისს სახლიდან მოჰპარეს 2000 მანეთის ნივთები.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ივლისი

### რ უ ს ე თ შ ი.

**ლოძი.** 22 ივლისს ღრლინის ქუჩაზე სასიკვდილოდ დასჭრეს მუშა. სხოდნი ქუჩის ბოლოში მძიმედ დასჭრეს ზგერჟიდან ჩამოსული მეპურე. 23 ივლისს ალექსანდროვსკის ქუჩაზე მოჰკლეს ზგერჟიდან ჩამოსული ორი ხელოსანი. ყველა მკვლელობა პარტიულ ნიადაგზე მოხდა.

**პეტერბურგი.** 18—22 ივლისამდე სამარაში ხელ ახლა ხოლერით ავად გახდა 14 კაცი. სულ გახდა ავად 27 კაცი, აქედან 3 გარდაიცვალა. ყველანი თითქმის ადგილობრივი მუშები არიან. ზომებს იღებენ, გახსნეს ცალკე საავადმყოფო ხოლერით ავადმყოფთათვის.

ასტრახანის, სარატოვის, სიმბირსკის, უფის და ნიჟეგოროდის გუბერნიები ხოლერის მხრივ საშიშ ადგილებად არიან დასახელებული.

23 ივლისს დაიწყო სამრევლო-საეკლესიო სკოლების გამგეთა და მასწავლებელთა კრება. კრება მოიწვია სინოდთან არსებულმა სამოსწავლო საბჭომ. კრებამ უნდა განიხილოს სკოლების და სწავლის უკეთ მოწყობის საქმეები. თავმჯდომარედ აირჩიეს საბჭოს თავმჯდომარე სოკოლოვი. პირველ სხდომაზე კრებამ ოთხი კომისია აირჩია. კომისიებმა უნდა შეიმუშაონ სხვა და სხვა წესდებანი საეკლესიო სამასწავლებლო სკოლების მართვა-გამგეობის, სამრევლო სკოლებში მეურნეობის და ხელოსნობის სწავლების შესახებ.

პეტერბურგის სამხედრო სასამართლომ ბალხანინა ნიკანდროვს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. განაჩენი 23 ივლისს მოიყვანეს სისრულეში. ბალხანინს ჰბრალდებოდა საფართლოზე დაცემა, ხოლო ნაკანდროვს მეარტელეს კნიაზევის სახლზე თავდასხმა.

**ლუგანსკში.** 22 ივლისს ფოსტის ქუჩაზე სასიკვდილოდ დასჭრეს უბნის ზედამხედველი.

**ხედლეცი.** გასძარცვეს ვინიცკის ფოსტის განყოფილება.

**ეკატერინოსლავი.** 22 ივლისს უცნობებმა რევოლვერით მოჰკლეს სამი მუშა.

მიწის მომწესრიგებელ კომისიას 123 მემამულემ შეაძლია გასაყიდად მამული, ზ მით 99,241 დესეტინა.

**ვარშავა.** შეიპყრეს სოციალ-დემოკრატების ლიტვისა და პოლონეთის საოლქო სამმართველო. შვიდი კაცი დააპატიმრეს. სხვათა შორის დააპატიმრეს შარშან პოქაულის თანაშემწის კონსტანტინოვის მკვლელობაში მონაწილეობის მიმღები.

**ეკატერინოდარი.** სად. ილსკისთან 22 ივლისს საღამოთი ვიღაცები პირველსა და მეორე კლასის მგზავრებს დაეცნენ. თავდამსხმელნი გაჰფანტეს.

**სიმბირსკი.** საგუბერნიო საპატიმროს პოლიტიკურმა ტუსაღებმა გაქცევა განიზრახეს. იარაღი აჰყარეს და შეჰკრეს მეთვალყურენი. როცა ჯარი მოვიდა, პატიმრები რევოლვერის სროლით დაუხვდნენ. ჯარის ცაცებმა სროლითვე უპასუხეს. მოკვდა ერთი პატიმარი. არიან დაჭრილნიც. წეს-რიგი აღადგინეს.

**კიევი.** უმანის მაზრის დაბა ანტინოვკაში მემამულე დზევანოვსკის ძმის წულმა უცაბედად თოფით მოჰკლა გლეხის ქალი. ადგილობრივი და ახლო-მახლო სოფლების გლეხები იარმუკაში სავაჭროდ იყვნენ ჩამოსულნი. ამ ამბის გაგონებაზე დაეცნენ მემამულის ეკონომიას, აიკლეს სახლ-კარი, ცეცხლი წაუკიდეს და შენობები დასწვეს. დზევანოვსკი ცოლ-შვილით და ძმისწულით გადარჩა. მოელიან მთავრობის მოხელეებს.

**ილაზულა.** პეკინ-პარიზის ავტომობილით გაჯიბრების მეორე და მესამე ავტომობილ ნაშუადღევის 4 საათზე მოვიდა. დამე აქ დარჩნენ.

**პეტერბურგი.** (დეპეშათა სააგენტოს ცნობა). რუსის და გერმანიის იმპერატორების შეხვედრას სერიოზული ნათესაური ხასიათი ჰქონდა. ბიულოვის და იზვოლსკის მუსაიფი სხვა და სხვა საქმეს ეხებოდა. მათის აზრით, ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობა უზრუნველ-ყოფილია. მაროკოს საქმეები საშიში არ არის. საფრანგეთისა და ესპანიის მიერ ერთად მიღებული ზომები სხვა სახელმწიფოებში არავითარს უკმაყოფილებას არ გამოიწვევს. რუსეთ-იაპონიის უკვე ხელ-მოწერილი კონვენცია და რუსეთ-ინგლისის მოსალოდნელი ხელ-შეკრულება ხელს შეუწყობენ მშვიდობიანობის განმტკიცებას. ორი მეფის შეხვედრა კიდევ უფრო გააღრმავებს ტრადიციონურს მეგობრობას გერმანია-რუსეთის შორის და ამასთან ხელს არ შეუშლის სახელმწიფოთა შორის არსებულ კავშირებს. ეს ამბავი მშვიდობას შეიტანს ევროპისა და აზიის პოლიტიკურ საქმეებში.

### უ ც ხ ო ე თ შ ი.

24 ივლისი

**სვინემიუნდე.** 22 ივლისს „გოგენცოლერნ“-ზე გადასვლის წინად ხელმწიფე იმპერატორმა „შტანდარტ“-ზე გამწკრივებულ კომანდას მიესალმა. ხელმწიფეს ეცვა საზღვაო გვარდიის მუნდირი. წირვის შემდეგ პარაკლისს დაესწრნენ იმპერატორი ვილჰელმი, პრინცები ჰენრიხი და ადალბერტი. წირვის შემდეგ „შტანდარტ“-ზე გაიხსნა საუზმე. საუზმეს დაესწრნენ ვილჰელმი, პრინცები და ბიულოვი. საუზმის შემდეგ 3 საათზე მოხდა ნავების გაჯიბრება. გამარჯვებულნი „შტანდარტ“-ზე მოაგროვეს. მოვიდა ვილჰელმიც. ხელმწიფე იმპერატორმა გამარჯვებულთ საჩუქრები დაურიგა. ვილჰელმიც მიესალმა მათ და საჩუქრებს ურიგებდა. 8 საათზე სადღესასწაულო სადილი გამართა პრინცმა ჰენრიხმა საადმირალო გემს „დეიტშლანდ“-ზე. ნასადილევს ხელმწიფე იმპერატორმა გემის „დეიტშლანდი“-ს კაიუტ კომპანიას ძვირფასი საჩუქრები დაურიგა.

**მადრიდი.** მინისტთა საბჭოს თათბირმა ხუთ საათს გასტანა. საბჭომ განიხილა საფრანგეთის წინადადებანი კაზაბლანკაში მომხდარ ინციდენტის შესახებ. ჟურნალისტებს სხდომის შედეგი არ აცნობეს. მხოლოდ სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ მაროკოში სამხედრო გემით „აფრიკი“-თ 500 კაცს გაგზავნიანო. ესპანია საქმეში უთუოდ ნაკლებად გაერევა.

**თეირანი.** ოფიციალურის ცნობებით, 22 ივლისს სპარსეთს შემოსეულმა ოსმალეთის ჯარმა აიკლო ურმიის მახლობლად სოფელი მავანეხი. მოჰკლეს 18 მამაკაცი და 60 დედაკაცი და ბავშვი. მოკლულთა უმეტესობა ქრისტიანები არიან. ოსმალებმა დაიჭირეს სპარსელების ბანაკი, რომელიც სპარსელებმა მიატოვეს მალთა სიმცირისა გამო.

**სვინემიუნდე.** 22 ივლისს საადმირალო გემზე „დეიტშლანდ“-ზე სადილი გაიმართა. რადგან კაიუტ-კომპანია პატარაა, საუზმეზე მხოლოთ რჩეული საზოგადოება იყო, რიცხვით 20 კაცი. შუაში ხელმწიფე იმპერატორი იჯდა, მარჯნივ პრინცი ჰენრიხი. ვილჰელმის გვერდით იზვოლსკი იჯდა, ხოლო იზვოლსკისთან ბიულოვი. პრინცმა ჰენრიხმა აფიცერთა კორპუსის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ხელმწიფე იმპერატორს. შემდეგ კინემატოგრაფით სხვა და სხვა სურათი აჩვენეს სადილმა და სადილის შემდეგ მუსაიფმა ძლიერ მხიარულად ჩაიარა. ხელმწიფე იმპერატორი „შტანდარტ“-ზე დაბრუნდა შუა ღამისას. 23 ივლისს მოხდა ესკადრის მანევრები. ესკადრის ზღვაში გასვლა საუცხოო იყო.

**გიბრალტარი.** ინგლისის კრეისერი „ანტრიმი“ მაროკოსკენ წავიდა.

**ბერლინი.** მოვიდა თავ. ბოგლუჩი.

**პარიზი.** არჩევნების შედეგის ანგარიშის შემდეგ აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკელმა მემარცხენეებმა შეიძინეს 14 ადგილი, რადიკალებმა და სოციალისტებმა 76, დამოუკიდებელმა სოციალისტებმა 4 ადგილი, შეერთებულმა სოციალისტებმა 6, დაჰკარგეს: რეაქციონერებმა 23 ადგილი, ნაციონალისტებმა 19 და პროგრესისტებმა 58.

**სვინემიუნდე.** ესკადრა დაბრუნდა ნაშუადღევის 2 საათზე. შემდეგ გაიმართა საუზმე. 3 საათსა და 30 წუთზე ვილჰელმმა ხელმწიფე იმპერატორი „შტანდარტ“-ამდე მიაცილა. ესკადრიდან ზარბაზნებს ისროდნენ. შემდეგ ვილჰელმი იალქნიდან გემ „იდუნა“-ზე გადაჯდა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**უოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ტ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელდიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—120)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

**კ ე ფ ი რ ი**

**ო. კორონისა**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კ უ მ ი ს ი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—50) პატივ. **ო. კორონი.**



ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—84)

## გამოცხადებანი

## განცხადება

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა.

აცხადებს, რომ ამა 1907 წლის 12 ივლისს დილის 12 საათზე ბანკის შენობაში, ერევნის ქუჩაზე მოხდება ხელმეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა, გასასყიდად ქვემოდ დასახელებულ ურავ ქონებისა, რომელიც ბანკშია დაგირავებული, და რომელიც ნაღდ 1907 წლის პირველ ნახევრისა არ წარმოუდგენიათ. ეს მამულები გაეყიდება დარის 1907 წლის 21—22, 25—26 და 28 ივნისის მოხდარ საჯარო ვაჭრობის დროს.

### I

გირავნული გრძელ ვადიანი სესხი.

**ქალაქის მამულები.**

**ტფილისის გუბერნია.**

**ქალ. ტფილისში.**

აბოვეა ეგურთ ოჰანეზის ძე: შენობანი და მიწა, ზომით ოთხკ. საჟ., მე-8 ნაწილში ნიკოლოზის ქუჩაზე.

თავნი ვალი 111722 მან. 68 კ., ნაღდიმკა 9044 მან 12 კაპ., სულ 120766 მან. 80 კაპ.

ადლდუგოვის სოფიო გრიგორის ასული: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 32 ²/9 ოთხკ. საჟ., მე-5 ნაწ., ბოკლონის ვიწრო ქუჩაზე.

თავნი ვალი 2868 მან. 97 კ., ნაღდიმკა 245 მ. 23 კ. სულ 3114 მ. 20 კ.

ადლდუგოვის სოფიო გრიგორის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 164¹/2 ოთხკ. საჟ., მე 5 ნაწილში, არტილერისკის ქუჩის დასაწყისში.

თავნი ვალი 22071 მ. 80 კ., ნაღდიმკა 1687 მ. 60 კ. სულ 23759 მ. 40 კ.

აზარბეგოვისა ნინო არტემის ასული, გარეგინ (იგივე მესროპ), მარგარიტა (იგივე მანიკა) და გრიგორი არტემის ძენი და ასულნი: შენობანი და მიწა, ზომით 95 ოთხკ. საჟ., პირველ ნაწილში, ყაზბეგის ქუჩაზე.

თავნი ვალი 16655 მ. 22 კ., ნაღდიმკა 1463 მ. 51 კ. სულ 18118 მ. 73 კაპ.

ამიაზოვ ლაზარ სერგის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 48⁴/7 ოთხკ. საჟ., მე 7 ნაწ. არარატის ქუჩაზე.

თავნი ვალი 2831 მ. 95 კ. ნაღდიმკა 149 მ. 72 კ. სულ 2981 მ. 67 კ.

ასრიანცისა ეკატერინე ისაკის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 80 ოთხკ. საჟ., პირველ ნაწილში, ოდლნის ქუჩაზე.

თავნი ვალი 7258 მ. 30 კ., ნაღდიმკა 511 მ. 52 კ. სულ 7769 მ. 82 კ.

ბაღდასაროვ ბაბა გიორგის ძე და ტერ-ეგნატოვ ხაჩერ მოსესის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 150 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, ავჭალის ქუჩის გაგრძელებაზე.

თავნი ვალი 1846 მ. 40 კ. ნაღდიმკა 1304 მ. 64 კ. სულ 19776 მ. 10 კ.

ბაბაჩიევა იაკობ იონის ძე: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 145 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, ლდიუბინის ნაპირზე ქუჩაზე.

თავნი ვალი 3750 მ. 33 კ. ნაღდიმკა 433 მ. 24 კ. სულ 4183 მ. 57 კ.

ბარმიშოვისა ანნა ივანის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 480 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწილში, ბერიტ-ბაღის, კონსტანტინოვსკის და მიხაელ-ანდრიევის ქუჩების ვრცელ მოედანში.

თავნი ვალი 56826 მ. 31 კ. ნაღდიმკა 6689 მ. 91 კ. სულ 63516 მ. 22 კ.

ბეჟანოვა ივანე ლოგინის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 91 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწილში, შერმებტიევის ვიწრო ქუჩაზე.

თავნი ვალი 1864 მ. 89 კ. ნაღდიმკა 275 მ. 16 კ. სულ 2145 მ. 05 კ.

გამბაევისა ეფემია აბრამის ასული: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 400 ოთხკ. საჟ., მე-2 ნაწილში, მაშა მოედანში.

თავნი ვალი 65762 მ. 03 კ., ნაღდიმკა 10988 მ. 28 კ. სულ 76750 მან. 31 კაპ.

გაჩეჩილაძე ავრო ოჰანეზის ძე: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 47⁵/9 ოთხკ. საჟ., მე-7 ნაწილში, ბალიჯანის ვიწრო ქუჩაზე.

თავნი ვალი 2868 მ. 97 კ. ნაღდიმკა 277 მ. 35 კ. სულ 3146 მ. 32 კ.

გრიგორიევისა ეფემია ისრაელის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 395³/4 ოთხკ. საჟ., მე 10 ნაწილში, აზგნიბიურის ქუჩაზე.

თავნი ვალი 49587 მ. 92 კ., ნაღდიმკა 4230 მ. 83 კ. სულ 53818 მან. 75 კაპ.

ლაღიძე მიხეილ იაკობის ძე: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 172 ოთხ. საჟ., მე-9 ნაწილში, ავჭალის და გიორგიევის ქუჩაზე.

თავნი ვალი 25820 მ. 64 კ., ნაღდიმკა 2700 მ. 73 კ. სულ 28521 მ. 37 კ.,

ზუბოვა ცეცილია-სანტია: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 152 ოთხ საჟ., მე 9 ნაწილში, პირველ ვოკზალის და აღმოსავლეთის ქუჩაზე და არჯუნსაკვის ვიწრო ქუჩაზე.

თავნი ვალი 2804 მ. 09 კ., ნაღდიმკა 2431 მ. 35 კ., სულ 30474 მ. 34 კ.

ზუბალოვისა ელენტინა კირილის-ასული: შენობანი და მიწა, ზომით 316 საჟ. 4 არშ. და 9 გოჯი, პირველ ნაწილში, გუნიბისა და სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე.

თავნი ვალი 46879 მ. 19 კ. ნაღდიმკა 3957 მ. 19 კ. სულ 50836 მ. 38 კ.

ლალაშვილისა ეკატერინე გრიგორის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 165 ოთხკ საჟ., მე 10 ნაწილში, სუნქენის ქუჩაზე.

თავნი ვალი 12858 მ. 61 კ. ნაღდიმკა 1293 მ. 62 კ. სულ 12152 მ. 23 კ.

მთაწყლიძისა დარია (იგივე მარია) გრიგორის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 27 ოთხკ. საჟ., მე 6 ნაწილში, კუმისის ქუჩაზე და ენაგეთის ვიწრო ქუჩაზე.

თავნი ვალი 1406 მ. 35 მ., ნაღდიმკა 190 მ. 88 კ. სულ 1597 მ. 23 კ.

მელიქოვები დავით და ილია ზაქარიას ძენი და ქავქავაძისა მარია ზაქარიას ასული: შენობანი და მიწა, ზომით, 156 ოთხკ. საჟ., მე 4 ნაწილში, სოლოლაკის ქუჩაზე.

თავნი ვალი 52788 მ. 80 კ ნაღდიმკა 7925 მ. 68 კ. სულ 60714 მ 54 კ.

მანცაკანოვი სტეფანე გიორგის ძე: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 650,4 ოთხკ. საჟ, მე 2 ნაწილში, სუდების, ქავქავაძის და მეჟევოი ქუჩაზე.

თავნი ვალი 96418 მ. 76 კ., ნაღდიმკა 6878 მ. 78 კ სულ 103297 მ. 54 კ.

მინკევიჩი ლონგინი სტანისლავის ძე: შენობანი და მიწა, ზომით 453 ოთხკ. საჟ., მე 10 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე დიდუბეში.

თავნი ვალი 23239 მ. 12 კ., ნაღდიმკა 2672 მ. 43 კ. სულ 25911 მ. 55 კ.

ოსკანოვები ეგორ და პეტრე არტემის ძენი: შენობანი და მიწა, ზომით 329 ოთხკ. საჟ, მე 5 ნაწილში გეორგიევის მოედანში და ხლებნი ვიწრო ქუჩაზე და იერუსალიმის ქუჩაზე.

თავნი ვალი 65630 მ. 79 კ., ნაღდიმკა 8182 მ. 49 კ. სულ 73813 მ. 28 კ.

პანოვა ალექსანდრა ედუარდის ასული: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 117 საჟ, მე 2 ნაწილში, მაჰა-დავიდის მოედნის ზემოთ, გორნი ქუჩაზე.

თავნი ვალი 5773 მ. 58 კ., ნაღდიმკა 430 მ. 17 კ სულ 6203 მ. 75 კ.

პარუნ-სარქისოვისა ეკატერინე ჩილაბის ასული: შენობანი და მიწა, ზომით 1160 ოთხკ. საჟ., მე 6 ნაწილში, ვორონცოვის ქუჩაზე და გლუხი ვიწრო ქუჩაზე.

თავნი ვალი 10850 მ. 64 კ., ნაღდიმკა 1432 მ. 90 კ. სულ 12283 მ 54 კ.

რატიევისა მარიამ სოლომონის ასული: შენობანი და მიწა, ზომით დაახლოვებით 700 ოთხკ. საჟ., მე 7 ნაწილში, ფალავანდოვის ქუჩაზე.

